

ტექნიკური დავალება

სოფ კვაცხუთის წყალსადენის საუბნო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე

გასაწევი მომსახურება:

სოფ. სოფ კვაცხუთის წყალსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 3585,26ლარს დღგ-ის ჩათვლით, თითოეულ ობიექტზე შემდეგი ღირებულებებით:

შესასრულებელი სამუშაოების სრული აღწერილობა და დეტალური მოცულობები მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში და მოცულობათა უწყისებში. (იხილეთ დანართები)

მიმდინარე პროექტით ხორციელდება შემდეგი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოფ. კვაცხუთში საგანელიძეების უბანში ხდება 210 მეტრზე დაზიანებული ლითონის მილის შეცვლა. პროექტი ითვალისწინებს დ50მმ და დ32მმ დიამეტრის PN-16 ატმოსფეროს პოლიეთილენის მილების მონტაჟს. ამ მონაკვეთზე არის მეორე ხაზი მილდენისა, სამუსაოების მიმდინარეობისას ეს მილდენი დაზიანებებისგან დაცული უნდა იქნეს, რისთვისაც მიერთების მილების გრუნტის სამუსაოების შესრულება პროექტით გათვალისწინებულია ხელის იარაღებით.

მიმწოდებელი ვალდებულია:

- სამუშაოების მსვლელობისას, სამშენებლო ტერიტორიაზე განთავსებული სხვა კომუნიკაციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაიცვას დაზიანებისაგან, ხოლო დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღდგენა;
- უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა.
- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა;
- სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს დამცავ გამაფრთხილებელი თვალსაჩინოებების დაყენება;
- გაუთვალისწინებელი თანხების გამოყენება მოხდება მხოლოდ დამკვეთის ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვის და შეთანხმების საფუძველზე, დამკვეთის (შემსყიდველის) სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.
- სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, მაქსიმალურად უწყვეტ რეჟიმში, ტექნოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყველა შესაძლო სამშენებლო მოედნის ორგანიზებით.
- შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.